

თანამედროვე ჰოსპიტალის განვითარების  
ძირითადი ტენდენციები

სტუდენტი: ანა დალუნდარიძე

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
2013

## აბსტრაქტი

**წინაპირობა:** სტატიის თემატიკას წარმოადგენს საქართველოში თანამედროვე ჰოსპიტალის განვითარების ტენდენციების კვლევა, ძირითადი თავისებურებების გამოვლენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აქტუალურია ქვეყანაში თანამედროვე ჰოსპიტალების განვითარებისათვის აუცილებელი პრობლემებისა და ბერკეტების შესწავლა.

**მეთოდოლოგია:** დასმული ამოცანის შესასრულებლად შესწავლილი იქნა თეორიული მასალა, თუ რა არის ზოგადად საავადმყოფო, მისი განვითარების მოკლედ ისტორია, საავადმყოფოთა ტიპები, ნაშრომში განხილულია ჰოსპიტალის ფუნქციების ოპტიმიზაცია, მმართველობის კომპეტენციის გაძლიერება, ასევე თანამედროვე ჰოსპიტალის ძირითადი ფუნქციები და სამომავლო გეგმები, ხარისხის მართვა ჰოსპიტალურ მმართველობაში. ნაშრომს თან ერთვის კვლევა ჰოსპიტალებში, სადაც უშუალოდ მმართველებისა და მენეჯერებისგან შევიტყვეთ თუ რა არის თანამედროვე ჰოსპიტალის განვითარების ტენდენციები, თუ რა არის აუცილებელი და მნიშვნელოვანი თანამედროვე ჰოსპიტალის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის.

**შედეგები:** აღნიშნულის შესწავლამ საშუალება მოგვცა გაგვეგო თუ როგორ მართავენ საქართველოში თანამედროვე ჰოსპიტალს, რა მიაჩნიათ მისი განვითარებისათვის აუცილებელ წინაპირობად.

**დასკვნა:** თანამედროვე ჰოსპიტალის განვითარება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. ის უნდა შეესაბამებოდეს არამარტო თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებს, არამედ მისი განვითარების სტარტეგია უნდა იყოს მიმართული ჰოსპიტალური სამედიცინო მომსახურების სიმძლავრის განვითარებისაკენ, რაც უნდა აკმაყოფილებდეს მოსახლეობის საჭიროებას ამ სახის მომსახურებაზე და უნდა იყოს ფინანსურად მისაღები და ხარისხიანი. უნდა იყოს დაკომლექტებული ასევე სტანდარტული და მაღალ-ტექნოლოგიური საწოლებით, ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა შესაბამისობაში იყოს მომსახურების სახეებთან, ასევე სათანადო კვალიფიკაციის ადამიანური რესურსით. იყოს ხელმისაწვდომი და ხარისხიანი.

## **Abstract**

**Precondition:** The theme of article trends in the development of the modern hospital in Georgia, the main features of detection. Based on the above important developments in modern hospitals and tools necessary for the study of problems.

**Methodology:** We have studied the theoretical secondary materials: what is the hospital, a brief history of its development, types of hospitals, the paper discusses optimization of hospital functions. Strengthening the rule of competency, also discussed future plans and basic functions. Quality management in hospital. The theme included research hospitals, where the governors and managers of what is learned from the development trends of modern hospital what is essential and important to the formation and development of the modern hospital.

**Results:** The study allowed u to learn how to management a modern hospital in Georgia. What do they think of her as a precondition for the development.

**Conclusion:** The development of the modern hospital depends on many factors. It must conform not only to modern medical technology, as well as its development strategy should be directed towards the development of the capacity of the hospital services. It must meet the needs of this type of service and to be financially feasible and efficient. Must be equipped with the standard and high-tech beds, infrastructure and equipment are consistent with the types of services. As well as suitably qualified human resources. Be accessible and of high quality.

## მადლობა

ნაშრომის მომზადების პროცესში მუდმივ კონსულტაციასა და მეთვალყურეობას მიწევდა, ნაშრომის ხელმძღვანელი ბატონი თენგიზ ვერულავა. მამლევდა შენიშვნებს და მაწოდებდა ლიტერატურას. გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით მას და ასევე ყველა იმ ადამიანს ვინც ნაშრომის მომზადებაში ოდნავი წვლილიც კი შეიტანა.